

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მორფოდინამიკა, გეოლოგიური წარსული და თანამედროვე მდგომარეობა

ირმა მაკალათია

ელ-ფოსტა: Irma.makalatia@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ბოლო პერიოდში კლიმატის ცვლადობის საკითხი სულ უფრო დიდ ყურადღებას იქცევს მეცნიერების მხრიდან. კლიმატური პირობების კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა დამოკიდებულია ცვლილებების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, რომელიც ცვლის ბუნების ყველა კანონზომიერებას. შავი ზღვა ყოველთვის არ იყო ისეთი, როგორც ამჟამადაა. წარსულში განიცადა არაერთი გეოლოგიური ევოლუცია და საბოლოოდ შავი ზღვის თანამედროვე მდგომარეობა და მორფომეტრული პარამეტრები ჩამოყალიბდა დაახლოებით 8000 წლის წინათ. კვლევაში წარმოდგენილია გეოლოგიური წარსულის ფაქტები, როდესაც მოხდა ზღვის დონის მატება და კლება. ამას მოჰყვა კოლხეთის უძველესი ქალაქების დატბორვა.

სანაპირო ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობაზე ძლიერ გავლენას ახდენს ანთროპოგენური ფაქტორები: მოლი, ჯებირი, ნავსადგური, მდინარის შესართავებში ქვიშის ამოღება და მრავალი სხვა აქტივობა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სანაპიროს ეროზიაზე.

კვლევაში წარმოდგენილია ორი ახალი პროექტის მნიშვნელობა ქვეყნისთვის. ესენია ანაკლიის ღრმაწყვანი პორტისა და შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მშენებლობა და მათი როლი შუადერეფნის განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ ანაკლიის რეგიონში ქარის, ტალღური რეჟიმის, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობების სპეციფიკა მოითხოვს დამატებით კვლევებსა და მოდელირებას, პროექტის ოპტიმიზაციისა და საექსპლუატაციო ხომალდების მანევრირების რისკების შემცირებისთვის. თსუ-ს ადმინისტრაციის ხელშეწყობით და მხადაჭერით შესაძლებლობა გვექნება ანაკლიის ღრმაწყვან პროექტში სტუდენტების სამივე საფეხური ჩავრთოთ, რაც აუცილებლად დააინტერესებს ახალგაზრდა თაობას და ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას საზღვაო მიმართულებით.